ვ. როდონაია ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი ა. არაბული

ქართული ენა 2

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი

ვ. როდონაია ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი ა. არაბული

ქართული ენა

II კლასი

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – II კლასი პირველი ნაწილი

მოსწავლის წიგნი

ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
მხატვრები – თამარ ჯაყელი
ნინო აფციაური
ზაურ დეისაძე
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-565-8

ყოჩაღი ბიჭი – ცირა ქიტიაშვილი 6
გიორგის ერთი დღე – ავთანდილ არაბიძე 8
მოდი რიცხვები მოვიგონოთ – ჯანი როდარი 10
ტყუპები – ვლადიმერ სუტეევი 12
ჩემი მხარე – გიორგი ქუჩიშვილი 16
დახუჭობანა – ლალი ვაშაკიძე 18
ნუციკო – ტარიელ ჭანტურია 19
კეთილი ბერიკაცი – იაკობ გოგებაშვილი 20
ცხელი დღე ქალაქში – ნუგზარ შატაიძე 22
პატარას – ირაკლი აბაშიძე 24
აფრინდა, აფრინდა – ქეთევან ჭილაშვილი 25
თბილი ქვეყნებისაკენ – ნიკო კეცხოველი 27
ერთი გემი – ნინო ბეზარაშვილი 28
სიტყვის კაცი – პაატა მამფორია 30
ზღაპრული სკივრი – დავით ჯავახიშვილი 32
გზა – პაატა მამფორია 34
ჩხუბი – იაკობ გოგებაშვილი 36
გაბაასება – ნოდარ დუმბაძე 38
ეკამ წერილი მიიღო – პაატა მამფორია 40
ნუ იამაყებ – ხალხური 42
ლომი და თაგვი – იაკობ გოგებაშვილი 43
სადილაო – გიორგი წერეთელი 44
უქნარა – იაკობ გოგებაშვილი 45
სიმღერა – გრიგოლ აბაშიძე 46
პატარა კალათა – ქეთევან ჭილაშვილი 48
ნეკერჩხალი – გივი ჭიჭინაძე 51
რთველი – გივი ჭიჭინაძე 52
სირცხვილი აიცილა – იაკობ გოგებაშვილი 54
ასოების გასაჭირი – იოსებ გრიშაშვილი 56
ნიკოს კომპიუტერი – პაატა მამფორია 58
პინოქიოს თავგადასავალი – კარლო კოლოდი 60
დედის დარიგება – გიორგი ჭალადიდელი 63
ჭიანჭველა და ფუტკარი – იაკობ გოგებაშვილი 64
მომღერალი ფუტკარი – ცირა ქიტიაშვილი 65
თევდორეს სიმართლე – ავთანდილ არაბიძე 66
მოხდენილი პასუხი – იაკობ გოგებაშვილი 68
შვიდი ტყუპისცალი – მარიამ წიკლაური 70
ფეფო – ლეილა ბეროშვილი 71
კნუტების ამბავი – ლეილა ბეროშვილი 72
თომა ბავშვთა ქალაქს აშენებს – გიორგი კეკელიძე 74
დეკემბერი – გივი ჭიჭინაძე 77
საახალწლო ლექსიკონი – პაატა მამფორია 78
მრავალ ახალ წელს – გალაკტიონ ტაბიძე 83

ძვირფასო ბავშვებო!

თქვენ უკვე მეორეკლასელები ხართ. წინ უამრავი საინტერესო ამბავი გელოდებათ.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწ-ყებას!

გისურვებთ წარმატებებს!

გვიამბე, როგორ გაატარე ზაფხულის არდადეგები.

ყოჩაღი ბიჭი

ერთმა ბიჭმა დედას
გაუხარა გული:
თურმე წერა იცის
ჩაწიკწიკებული,
თურმე კითხვა იცის
ჩაჭიკჭიკებული,
სიმღერები იცის
ჩაბულბულებული.
იღიმება დედა,
როგორც გაზაფხული.

ცირა ქიტიაშვილი

1. რით გაახარა ბიჭმა დედა?
2. როგორ გამოხატა დედამ სიხარული?
3. რასთან არის შედარებული დედის ღიმილი?

გამოცანა

ნაცრისფერი ჩიტუნია,
ტყე-ბაღების შვილი,
მგალობელი ფრინველია,
ხმა აქვს მეტად ტკბილი.

სასაუბრო

ისაუბრეთ, რა უხარიათ ყველაზე მეტად დედას, მამას, ახლობლებს.

გავიხსენოთ ანბანი!

წავიკითხოთ ანბანი!

ა ბ გ დ ე ვ ზ თ

ი კ ლ მ ნ ო პ ჟ

რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ

შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ

ჰ

1 **დააკვირდი, ანბანის მიხედვით, რომელი ასოა გამორჩენილი ამ ასოების თითოეულ რიგში:**

1. ი კ ლ ნ ო პ 2. ს ტ უ ფ ღ ყ 3. შ ჩ ც წ ჭ

2 **რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია თითოეულ სიტყვაში?**

ბალახი, ყვავილი, მერცხალი, ტოროლა.

საშინაო დავალება:

დაწერე, რით გაახარა ბიჭმა დედა.

გიორგის ერთი დღე

მზემ საძინებლის ფანჯარაში შემოიჭყიტა.

– გიუნა, ადექი, არ დაგაგვიანდეს! – ჩურჩულით ჩასძახის ბებია ბუთხუზა ბიჭს.

– არ გეზარება, გია? – ეშმაკურად აჭყეტს თვალს საბნიდან პატარა ნიკა. ნიკა ჯერ სკოლაში არ დადის და დილაობით არხეინად კოტრიალობს.

– გიაკო, ჩქარა ჭამე, ველარ მოასწრებ! – აჩქარებს შვილს სამზარეულოში მოფუსფუსე დედა.

– გიკო, აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო! – ამბობს მამა და აჩქარებით გადის კარში. მას სამსახურში აგვიანდება.

ქუჩის კუთხიდან რეზიკო გამოხტება.

– სად ხარ, გიო, ამდენ ხანს? – ეტყვის მეგობარს და ხტუნვა-ხტუნვით აედევნება.

ქართულის მასწავლებელი კლასში შემოდის, ჯდება, ბავშვებს თვალს გადაავლებს და სიის ამოკითხვას იწყებს.

– ბაქრაძე გიორგი!

– ვარ! – ფეხზე დგება გიო-გიუნა-გია-გიაკო-გიკო.

– ხომ არ დაიღალე, გიუნა? – კარებში შეეგება ბებია სკოლიდან მოსულ შვილიშვილს.

– მე გიორგი ვარ! – თქვა ბიჭმა და ჩანთა სკამზე დადო.

ასე წავიდა გიუნა ერთ მშვენიერ დილას სახლიდან სკოლაში; სკოლიდან სახლში კი გიორგი დაბრუნდა.

ავთანდილ არაბიძე

მოძებნე ტექსტში და წაიკითხე, რა სახელით მიმართავენ გიორგის ბებია, პატარა ნიკა, დედა, მამა და რეზიკო.

დაიმახსოვრე!

ყველა ადამიანს თავისი სახელი აქვს.

ასეთ სახელებს საკუთარი სახელები ჰქვია.

წაიკითხე მოცემული სიტყვები
და დაასახელე საკუთარი სახელები:

ექიმი	ბიჭი	თემური	თამარი
გიორგი	დეიდა	ელენე	მეეზოვე

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

წარმოიდგინე, რომ სკოლას სტუმარი ეწვია. ვთქვათ, მან დერეფანში შეგაჩერა და ვინაობა გკითხა. როგორ გაეცნობი? დაასახელე შენი სრული სახელი და გვარი, აღნიშნე, რომელი სკოლისა და რომელი კლასის მოსწავლე ხარ.

იმუშავეთ ჯგუფებად

დაიყავით ჯგუფებად. შეადგინეთ თქვენი ჯგუფის სია. ჩამოწერეთ გვარები ანბანის თანმიმდევრობით. წაიკითხეთ სია. საჭიროების შემთხვევაში შეასწორეთ შეცდომები.

საშინაო დავალება:

დაალაგე შენი ოჯახის წევრების სახელები ანბანის მიხედვით და ჩამოწერე რვეულში.

მოდი რიცხვები მოვიგონოთ

– მოდი, გინდა, რიცხვები მოვიგონოთ!

– მოვიგონოთ! პირველი მე ვიტყვი: მინდორშია ექვსი ცხენი, სამი დედა, სამი კვიცი. ამის მეტი აღარ ვიცი...

– ეეჰ! ეგ რა რიცხვებია. აბა, ყური დამიგდე, ნამდვილ რიცხვებს გეტყვი: ბილიარდონ ბილიარდონი, სეკსილიარდ სეკსილიონი, კვინტილიონ ბიკვინტილიარდი.

– დიდი ამბავი! მე, თუ გინდა, გამრავლების ცხრილს მოვიგონებ, აი:

სამჯერ ერთი – წერილს მწერდი;
სამჯერ ორი – მოგეპარა ღორი;
სამჯერ სამი – წაგექცა სკამი;
სამჯერ ოთხი – მოიტანე ფოცხი;
სამჯერ ხუთი – გააგორე ბურთი;
სამჯერ ექვსი – ლომზე შეგსვი;
სამჯერ შვიდი – სიმინდს ფშხვნიდი;
სამჯერ რვა – ჯინსი გაგერღვა;
სამჯერ ცხრა – ყვავი დაგაცხრა;
სამჯერ ათი – შეგხვდა დათვი.

– აბა, სწრაფად მოვიგონოთ კიდევ ორიოდე რიცხვი. იცი, იტალიის პატარა ქალაქ მოდენაში როგორ ითვლიან? ასე: ერთიკა, ორიკა, სამიკა – ფისუნა ხილაბანდს წაიკრავს, მდინარეს აუვლის, ჩაუვლის – წყალში ჩაუვარდება შაური.

– მაგას რა უჭირს, შენ რომში ნახე, როგორი თვლა იციან: ერთუნია, ორუნია, სამუნია – მოთხუნულა ამუნია; ოთხუნია, ხუთუნია – მოთხუნულა ღრუტუნია; ექვსუნია, შვიდუნია – ღრუბელზე ზის ჩიტუნია; რვანცი, ცხრანცი, ათუნია – ბუმ შეჭამა დათუნია.

ჯანი როდარი

იმუშავეთ ჯგუფებად

დაიყავით ჯგუფებად. მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ თქვენი ჯგუფის სასაცილო თვლა.

თერთმეტიდან ცხრამეტამდე დათვალე ასე:

თერთმეტი – ერთ მეტი;

თორმეტი – . . .	ცამეტი – . . .	თოთხმეტი – . . .
თხუთმეტი – . . .	თექვსმეტი – . . .	ჩვიდმეტი – . . .
თვრამეტი – . . .	ცხრამეტი – . . .	

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

ჩამოთვლილი სიტყვებიდან (მეტი, მესარე, მელექსე, მეღორე) შეარჩიეშესაფერისი სიტყვა და ზეპირად დაასრულე წინადადებები:

მაგალითად: ვინც პირველი, ის ფრინველი;

ვინ მოვიდა მეორე? ჩვენი სოფლის . . .

სარი ჩასვა მესამე. რა დავარქვათ? . . .

წელში თვეა თორმეტი, არც ნაკლები, არც . . .

ლექსს კითხულობს მეექვსეს, ჩვენი კლასის . . .

ყურადღებით წაიკითხე ლექსი და მოძებნე სიტყვები, რომლებიც ერთნაირად ბოლოვდება:

ჩემო კარგო თითებო,
მე თქვენ ყველგან მჭირდებით,
თვლა მასწავლეთ ათამდე,
ჩხირებივით ითვლებით.
სუფთა წერაც ისწავლეთ!
მელნით რატომ ითხვრებით?
დედიკოსთან თქვენ გამო
დღეში ათჯერ ვწითლდები.

გიორგი წერეთელი

ტყუპები

1. ეზოში

ჩვენს ეზოში ორი ბიჭი ცხოვრობს. ერთს გიგა ჰქვია, მეორეს – გაგა. გიგა და გაგა ძმები არიან, თანაც ტყუპები. ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ვერ გაარჩევ, მაგრამ სულ სხვადასხვანაირად კი იქცევიან.

ზამთრის ერთ ბურუსიან დღეს გიგა და გაგა ეზოში გამოვიდნენ. ყინავდა. ბიჭებს შესცივდათ.

– წავალ, თბილად ჩავიცვამ! – თქვა გიგამ.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ შინიდან ისეთი ჩაფუთნული გამოვიდა, ვეღარ ინძრეოდა.

გაგამ კი გამოიტანა თავისი ნიჩაბი და თოვლში გზის გაკვალვას შეუდგა.

1. როგორი ამინდი იყო? 2. როგორ მოიქცა გიგა?
3. როგორ მოიქცა გაგა?

სასაუბრო

რომელს უფრო არ შესცივდებოდა, გიგას თუ გაგას? რატომ?

მოძებნე და წაიკითხე, რას ამბობს მწერალი ტყუპების შესახებ.

2. თოვლის პაპა

ერთხელ გიგამ და გაგამ თოვლის პაპები გააკეთეს. ცხვირებად სტაფილოები გაუკეთეს, თვალების ნაცვლად კი ნახშირები ჩაუსვეს. ძალიან სასაცილო თოვლის პაპები გამოუვიდათ.

გიგას თოვლის პაპა მაღლობზე იდგა და მისი დანახვა ყველას შეეძლო. გაგასი კი ნაძვის ქვეშ, ჩრდილში შეყუჟულიყო.

ცოტა ხნის შემდეგ მზემ გამოანათა და ისე დათბა, რომ თოვლის პაპებს დასცხათ.

1. რატომ დადგა გიგამ თოვლის პაპა მალობზე?
2. რატომ შეაფარა გაგამ თავისი თოვლის პაპა ნაძვის ჩრდილს?

სასაუბრო

როგორ გგონიათ, ვისი თოვლის პაპა დადნებოდა უფრო ჩქარა: გიგასი თუ გაგასი? რატომ?

დაასახელე, რას ნიშნავს ტყუპები:

ყველა და-ძმას;
ერთ დღეს დაბადებულ და-ძმებს;
და-ძმებს, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან.

რომელი სიტყვა გამოხატავს ყველაზე მეტ სიცივეს, რომელი – შედარებით ნაკლებს, რომელი – კიდევ უფრო ნაკლებს?

ყინავს გრილა ცივა

დაიმახსოვრე!

წინადადება

„ერთხელ გიგამ და გაგამ თოვლის პაპები გააკეთეს.“ ეს სიტყვები ერთად დასრულებულ აზრს გამოხატავს. სიტყვათა ასეთ კავშირს წინადადება ეწოდება. წინადადების ბოლოს წერტილი იწერება.

დააკვირდი, მოცემულ მოთხრობაში სად არის დასმული წერტილი. გაგრძელებებით წაიკითხეთ თითო-თითო წინადადება.

იმუშავეთ ჯგუფებად

წარმოიდგინეთ, რომ თოვლის პაპას აკეთებთ. ჩამოწერეთ თანმიმდევრობით: ჯერ რას აკეთებთ, შემდეგ რას, მერე რას...

საშინაო დავალება

დაწერე, როგორი თოვლის პაპები გააკეთეს ბავშვებმა.

3. მდინარე

ზაფხულის ერთ დღეს გიგა და გაგა მდინარეზე საბანაოდ წავიდნენ. იბანავეს, იჭყუმპალავეს, მერე კი გემების გაკეთება გადაწყვიტეს.

ერთმა ფიჭვის ხის ქერქისაგან მშვენიერი გემი გააკეთა. მეორემ თიხა მოზილა და დიდი, ყვითელი გემი გამოძერწა.

ვლადიმერ სუტეევი

როგორ ფიქრობ, რომელმა გააკეთა თიხის გემი?

1. რა არის ამ მოთხრობის საერთო სათაური?
2. რამდენი თავისგან შედგება ეს მოთხრობა?
3. რა ჰქვია თითოეულ თავს?

წელიწადის რომელი დროა აღწერილი პირველ, მეორე და მესამე თავებში. რით ერთობოდნენ ბიჭები ზამთარში? რით ერთობოდნენ ბიჭები ზაფხულში?

1 გამოიყენე მოცემული სიტყვები (გამოთალა, შეკერა, გამოჭრა, გამოძერწა) და ზეპირად დაასრულე წინადადებები:

გიორგიმ თიხის კაცუნა . . .
ნიკამ ხისგან თოჯინა . . .
თაკომ ქაღალდის ყვავილი . . .
ნინომ ჩითის კაბა . . .

სასაუბრო

გაიხსენეთ მოთხრობის სამივე თავი. გაგა უფრო გონივრულად იქცეოდა თუ გიგა? რატომ ფიქრობთ ასე? რით ჰგვანან ტყუპები ერთმანეთს და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

2 როგორია გიგა, როგორია გაგა?
შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე.

გონიერი
დაუფიქრებელი
ჭკვიანი
საქმიანი
თავმომწონე

საშინაო დავალება:

დაწერე, როგორია გიგა, როგორია გაგა.

ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.

ვინც მისწვდება ჩემი ქვეყნის
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს!

გიორგი ქუჩიშვილი

მოძებნეთ ლექსში თქვენთვის უცნობი სიტყვები და ჩამოწერეთ დაფაზე. მასწავლებლის დახმარებით ახსენით თითოეული სიტყვის მნიშვნელობა.

დაიმახსოვრე!

მგოსანს სხვაგვარად პოეტი ჰქვია.

ეწვევა შეიძლება სხვაგვარადაც ითქვას – ესტუმრება.

პოეტი – მგოსანი, ეწვევა – ესტუმრება ერთნაირი შინაარსის სიტყვებია. ასეთ სიტყვებს შეიძლება მსგავსი სიტყვები დავარქვათ.

ყურადღებით წაიკითხე მოცემული წინადადებები. ხაზგასმული სიტყვები შეცვალე მსგავსი სიტყვებით:

იყო ერთი <u>მშვენიერი</u> ჭაბუკი. მან <u>მრავალი</u> ქვეყანა მოიარა. ერთხელ ჭაბუკს <u>ცბიერი</u> კაცი შეხვდა. კაცმა უთხრა: ვინც უფრო <u>ღონიერი</u> იყოს, ეგ ცხენი იმას დარჩესო. <u>გონიერმა</u> ჭაბუკმა კი უთხრა: თუ ჩემს გამოცანას გამოიცნობ, ამ ცხენს მაშინ დაგითმობო.

აღწერე სურათი



იმუშავეთ ჯგუფებად

დაიყავით ჯგუფებად. დააკვირდით ნახატს, შეადგინეთ ამბავი და დაასათაურეთ. წაუკითხეთ ერთმანეთს თქვენი მოთხრობები.

სასაუბრო

თქვენ რომელი თამაში გიყვართ? აღწერეთ ეს თამაში.

დახუჭობანა

თბილი საღამო იყო. ეზოში გოგო-ბიჭები დახუჭობანას თამაშობდნენ. რეზო ჭიშკართან იდგა, თვალებზე ხელები ჰქონდა აფარებული და ხმამაღლა ითვლიდა.

– ელია, მელია, თვალი გამიხელია, ვინც არ არის დამალული, რაღა ჩემი ბრალია. ვიხედები! – დაიძახა ბიჭმა. რეზომ თვალი გაახილა და ძებნას შეუდგა. ყურშაც ყეფა-ყეფით აედევნა მეგობარს. მან ია მაშინვე შენიშნა. ხის უკან დამალულიყო და ჭრელი კაბა უჩანდა. სხვების მოძებნა კი ცოტა გაუჭირდა.

– ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ! – გაიძახოდა რეზო და ეზოს კუნჭულებში იჭვრიტებოდა. მალე სხვა ბავშვებიც იპოვა.

– ყველა მე ვაპოვნინე და ჭიას რაღას ეხვეწება?! – ყურები ჩამოყარა ნაწყენმა ყურშამ.

ლალი ვაშაკიძე

1. რას თამაშობდნენ ბავშვები?
3. რატომ იპოვა რეზომ ია ყველაზე ადრე?
4. რას გაიძახოდა ბავშვების ძებნისას რეზო?
5. რა ეწყინა ყურშას?

რომელი მოთხრობის ეპიზოდი ყოფილა გადმოცემული თქვენ მიერ აღწერილ ნახატში?

დაიმახსოვრე!

მოკლე შინაარსი

წაიკითხე თანმიმდევრობით ის ხუთი წინადადება, რომლებშიც მოცემულია სიტყვები: თამაშობდნენ, ითვლიდა, გაახილა, შენიშნა, იპოვა. რით განსხვავდება ამ ხუთი წინადადებით გადმოცემული ამბავი მოთხრობისაგან? იმით, რომ ამბავი შემოკლებულია. ამ ხუთი წინადადებით ჩვენ გადმოვეცით მოთხრობის მოკლე შინაარსი.

საშინაო დავალება:

დაწერე მოთხრობის მოკლე შინაარსი.

ნუციკო

სად გინახავს, მითხარი,
მელაკუდა – უკუდოდ,
უსავარცხლოდ – ოფოფი,
ანდა სოკო – უქუდოდ!

სად გინახავს, კენგურუს
ჩანთა შინ დარჩენოდეს,
მონადირეს კი ხელში
თოფი არა სჭეროდეს!

შენ კი, ჩემო ჭკვიანო,
ჩემო კარგო ნუციკო,
როგორ მოხდა, სკოლაში
რომ წახვედი უწიგნოდ?!

ტარიელ ჭანტურია

1. რა არის აუცილებელი მელაკუდასათვის, ოფოფისათვის, კენგურუსათვის?
2. რატომ არის აუცილებელი სასკოლო ნივთების ტარება სკოლაში?
3. რომელი ნივთები გჭირდება სკოლაში?

სასაუბრო

ისაუბრეთ, რა ხდება ხოლმე გაკვეთილზე, როდესაც მოსწავლეს სასკოლო ნივთები ავიწყდება.

საშინაო დავალება:

დაწერე, როგორ ემზადებოდი ახალი სასწავლო წლისათვის.

კეთილი ბერიკაცი



ბერიკაცი ბაღში მსხლის ნერგს რგავდა. მოვიდა ერთი ყმაწვილი და ჰკითხა:

– ბიძია, როდის დაისხამს თქვენი დარგული მსხალი ნაყოფს?

– თუ კარგად იხარა, ათი წლის შემდეგ, – უთხრა ბერიკაცმა.

– მერედა, თქვენ მოესწრებით მაგ ხის ნაყოფს?

– მე ალბათ ვერ მოვესწრები, მაგრამ თქვენ მოესწრებით, შვილო, გაიხარებთ და მომიგონებთო, – მიუგო კეთილმა ბერიკაცმა.

იაკობ გოგებაშვილი

1. რას აკეთებდა ბერიკაცი?
2. რა ჰკითხა ყმაწვილმა ბერიკაცს?
3. რა უპასუხა ბერიკაცმა ყმაწვილს?

სასაუბრო

ისაუბრეთ, რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „კეთილი ბერიკაცი“?

1 **განმარტე, რა არის** ბაღი, ყანა, ვენახი.

2 **დაასახელე, რისი ნაყოფია:**

ტარო მტევანი თავთავი

აღწერე სურათი

იმუშავეთ ჯგუფებად

დაიყავით ჯგუფებად. დააკვირდით სურათს, შეადგინეთ მოკლე ამბავი და დაასათაურეთ. წაუკითხეთ ერთმანეთს თქვენი მოთხრობები.

ცხელი დღე ქალაქში

ცხელა, დიდი და პატარა ეზოში გამოფენილა. ბავშვები ბურთს დასდევენ. ვახო სახლშია და წიგნს კითხულობს.

ეზოში მენაყინემ თავისი ურიკა შემოაგორა:

– ნა-ყი-ნი! – ყვირის იგი, – ნა-ყი-ნი!

ბავშვებმა ფეხბურთის თამაშს თავი ანებეს და ერთი ამბავი ატეხეს:

– დე-და!

– მა-მა!

ღია ფანჯრებიდან მშობლებმა გადმოიხედეს.

– დე-და, ფული, რა!

– მა-მა, ფული გადმომიგდე რა, ნაყინია!

ზემოდან ბზრიალ-ტრიალით წამოვიდა ფულები...

ვახომ წიგნი გვერდზე გადადო, ბებოს ნაყინის ფული გამოართვა და კიბეზე დაეშვა.

ვახო მენაყინის ურიკასთან მდგარ რიგში ჩადგა. უცებ დაინახა, რომ ირაკლი ბაღის სკამზე ჩამომჯდარიყო, ბავშვებს დაღონებული სახით უყურებდა.

– ბე-ბო! – ყვირის ვახო.

– ჰო, რა იყო?

– თუ შეიძლება, ნაყინს ირაკლისაც ვუყიდი!

– შეიძლება, – გაეღიმა ბებიას.

ვახომ ორი ნაყინი იყიდა და ერთი ირაკლის მიუტანა. დასხდნენ და ცივ ნაყინს გემრიელად შეექცნენ.

სიცხეში ნაყინს მართლაც არაფერი სჯობია.

ნუგზარ შატაიძე

? როგორ მოიქცა ვახო? მოგწონთ თუ არა მისი საქციელი?

დაიმახსოვრე!

მარცვალი

სიტყვა დაძახების, ან გამოკვეთილად წარმოთქმის დროს ასე იყოფა: ბე-ბო, მა-მა, ნა-ყი-ნი.. სიტყვის თითოეულ დანაყოფში ერთი ხმოვანია, თანხმოვანი კი ერთი ან მეტიც: კარ-ტო-ფი-ლი, მწვა-ნი-ლი... სიტყვის ამგვარ დაყოფას დამარცვლა ჰქვია, ხოლო თითოეულ დანაყოფს – მარცვალი. მარცვალს ქმნის ხმოვანი. თანხმოვნები მის გარშემო იყრიან თავს.

დაუსახელეთ ერთმანეთს სიტყვები და დამარცვლეთ.



აღწერე ნახატი, მოძებნე და წაიკითხე რომელ ეპიზოდს ასახავს იგი.

პატარას

აი, ეს მიწა, ბუნება,
ეს მოქარგული მთა-ბარი,
ვაზები, პურის ყანები –
ველებზე ოქროს ფაფარი –
შენია, შენით იცოცხლებს,
რასაც კი თვალით გასწვდები,
შენ მოგენდობა გულღიად,
როდესაც დავაჟკაცდები.

ირაკლი აბაშიძე

1. ვის მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი?
2 ვისი იმედი აქვს სამშობლოს?

ანდაზა:

ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

რას ნიშნავს გამონათქვამი: „ველებზე ოქროს ფაფარი“. შეარჩიე სწორი პასუხი:

ყვითელი ყვავილებით მოფენილი მინდორი;
მინდორში მონავარდე ოქროსფაფრიანი ცხენი;
ოქროსფრად აელვარებული დამწიფებული პურის ყანა.

საშინაო დავალება:

დაწერე ორი-სამი წინადადებით, ვინ გინდა გამოხვიდე და რატომ.

აფრინდა, აფრინდა

– გინდათ, „აფრინდა, აფრინდა“ ვითამაშოთ? – წამოიძახა მამუკამ.

– გვინდა, გვინდა! – დაეთანხმნენ ბავშვები და მწვანეზე მოიკალათეს.

– ვიწყებ! – თითი მუხლზე დაიდო მამუკამ და სულგანაბულ მეგობრებს ეშმაკურად გადახედა:

– აფრინდა აფრინდა, ჩიტი აფრინდა!

– აფრინდა! – დაიძახეს ბავშვებმა და ხელები მაღლა ასწიეს.

– აფრინდა აფრინდა, თვითმფრინავი აფრინდა!

– აფრინდა! – ბავშვებმა ისევ მაღლა ასწიეს ხელები.

– აფრინდა აფრინდა, ხე აფრინდა!

– აფრინდა! – წამოსცდა ნინის.

– ხე არ ფრინავს! – ატეხეს ყიჟინა ბავშვებმა, – შეგეშალა, გავარდი!

– აფრინდა აფრინდა, გიგი აფრინდა!

– აფრინდა! – ხელი ასწია გიგიმ.

– წააგე, თამაშიდან გავარდი! – დაიძახეს ბავშვებმა.

– არაფერიც, რატომ წავაგე?! მე კოსმონავტი უნდა გავხდე, – ამაყად გადახედა გიგიმ მეგობრებს.

ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს და სიცილ-კისკისით განაგრძეს თამაში.

ქეთევან ჭილაშვილი

1. რას თამაშობდნენ ბავშვები?
2 რატომ გადაურჩა გიგი წკიპურტს?

სასაუბრო

ისაუბრეთ, რა იცით კოსმონავტების შესახებ.

იმუშავეთ წყვილებად

ჩამოწერეთ მოთხრობაში აღწერილი თამაშის წესი.

დაიმახსოვრე!

სულიერი – უსულო

„აფრინდა-აფრინდას“ თამაშში ჩიტიც არის დასახელებული და თვითმფრინავიც. ორივე ფრინავს, მაგრამ პირველი სულიერია, ხოლო მეორე – უსულო.

გადაანაწილე სულიერი და უსულო საგნების აღმნიშვნელი სახელები შესაბამის ყუთებში.

1 დაასახელე, ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია სულიერი:

ფუტკარი	ყვავილი	ადამიანი	თაფლი
ფოთოლი	წიგნი	ჭიანჭველა	პეპელა
გოგონა	არწივი	მანქანა	მამალი

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

შეარჩიეთ თამაშის წამყვანი. ითამაშეთ „აფრინდა აფრინდა“.

საშინაო დავალება:

დააჯგუფე, №1 სავარჯიშოში მოცემული სიტყვებიდან რომელია სულიერი და რომელი – უსულო, ჩამოწერე რვეულში.